



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1293  
11/07/2018

ქალაქი ბათუმი

1293-05-4-201807111743



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული რეგისტრაციიდან მოხსნილი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უტილიზაცია/ექსპერტიზისათვის წარსადგენად კომისიის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 12 დეკემბრის №35 დადგენილებით დამტკიცებული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და საჯარიმო ქვითარი - როგორც მარტივი ტიპის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა რეგისტრაციიდან მოეხსნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 25 მაისის №19-04/852 კორესპონდენციით მუნიციპალიტეტს ეცნობა, რომ გაუქმებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - როგორც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი სფს-ს რეგისტრაცია, სარეგისტრაციო ნომერი: №14-1815. ასევე რეგისტრაციიდან მოხსნილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ნებართვის ფორმები სარეგისტრაციო ნომერი: №54-4276, რის შემდგომაც მუნიციპალიტეტმა გაუქმებული ფორმები უნდა წარადგინოს მომსახურების სააგენტოში ექსპერტიზა/უტილიზაციის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული წესით რეგისტრაციიდან მოხსნილი მკაცრი აღრიცხვის ფორმების მომსახურების სააგენტოში წარდგენას.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 30 აგვისტო №824 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 02 თებერვლის №19-04/174 და 26 ივნისის №19-04/1044 მომართვების თანახმად **გბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული, რეგისტრაციიდან მოხსნილი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უტილიზაცია/ექსპერტიზისათვის წარსადგენად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

- ბ) გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- დ) თენგიზ ქიქავა - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ე) ვახტანგ დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ვ) მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ზ) ნონა ქოქოლაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- თ) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ი) მერაბ ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში - კომისიის წევრი;
- კ) თამილა ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

2. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა